



## ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

4600, ქუთაისი,  
ირაკლი აბაშიძის ბაზრ. 26

N 15723  
19/09/2018

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ 2017 წლის საშემოდგომო და 2018 წლის საგაზაფხულო სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

დანართი: „34“ გვერდი

პატივისცემით,

თამარ ხულორდავა

თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის  
ანგარიში 2017 წლის საშემოდგომო და 2018 წლის საგაზაფხულო  
სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიშის სრულქტურა:

1. კომიტეტის მისია, სტრუქტურა და სტრატეგიული მიზნები
2. საკანონმდებლო საქმიანობა
3. კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა და კომუნიკაცია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან
4. საპარლამენტო დიპლომატია, საერთაშორისო ურთიერთობები, კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრები და ვიზიტები
  - 4.1. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის საქმიანობა
  - 4.2. მონაწილეობა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში (Euronest PA)
  - 4.3. ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენცია (COSAC)
  - 4.4. საპარლამენტაშორისო თანამშრომლობის ინიციატივა - საქართველო, მოლდოვა და უკრაინა
  - 3.5. კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრები და ვიზიტები
5. საზოგადოებასთან ურთიერთობა, თანამშრომლობა სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

## 1. კომიტეტის მისია, სტრუქტურა და სტრატეგიული მიზნები

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მისიაა, ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში და ამ მიმართულებით განსაზღვროს ქვეყნის პოლიტიკა.

ამ მიზნებისათვის, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომიტეტი წინასწარ ამზადებს საკანონმდებლო საკითხებს, ხელს უწყობს პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ახორციელებს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

2018 წელს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც მისი კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო, საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით გასაწევი საქმიანობები აისახა. სამოქმედო გეგმა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს დაეფუძნა.

### სტრატეგიული მიზანი 1.

ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

- 1.1. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება;
- 1.2 საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება;

### სტრატეგიული მიზანი 2.

ევროკავშირთან მიმართებით საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში და განხორციელებაში მონაწილეობა

მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

- 2.1 საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- 2.2. საპარლამენტო დიპლომატიის განხორციელება;

### სტრატეგიული მიზანი 3.

კომიტეტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება

მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

- 3.1. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ევროკავშირთან დაახლოების პროცესში აღებული სხვა ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა;
- 3.2. კომიტეტის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანობის გაზრდა

სტრატეგიული მიზანი 4.

ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის გაუმჯობესება

მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

4.1 ევროინტეგრაციის პროცესის და მისი პოზიტიური შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

4.2 ევროინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის პროცესის მართვა და გაუმჯობესება;

## 2. საკანონმდებლო საქმიანობა

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონდებლობასთან დაახლოება. კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და პარლამენტის სხდომისთვის ამზადებს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს.

კომიტეტი ნორმატიული აქტების განხილვისას ხელმძღვანელობდა: ერთის მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით (რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს), ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში განსაზღვრული საკითხებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ჩაატარა 31 სხდომა, განიხილა 21 კანონის პროექტი (თანმდეგ პროექტებთან ერთად) და 9 საერთაშორისო ხელშეკრულება.

### ადამიანის უფლებები

- გატარდა საპენსიო სისტემის რეფორმა, რაც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს შექმნას დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში მის მიერ გამომუშავებული ხელფასის და საშუალებას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი საპენსიო უზრუნველყოფა. ამ მიზნით „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში მოწესრიგდა დაგროვებითი საპენსიო სქემის ორგანიზებისა და განხორციელების საკითხები და განისაზღვრა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისათვის სქემაში მონაწილეობის წესები და პირობები.
- იქმნება დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება, ინსპექტორის ფუნქციაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების

კონტროლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება.

- ახლებურად მოწესრიგდა პირის მიერ გვარის შეცვლის, მისი კანონიერად აღიარების და დადგენის პროცედურა.

### **შრომითი უფლებები**

- საკანონმდებლო დონეზე გაუმჯობესდა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობების ყველა ეტაპზე პირთა თანასწორუფლებიანობის დაცვისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მექანიზმები.
- დაიწყო დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის და შრომის უსაფრთხოების ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბება. ამ პროცესის მიზანია უზრუნველყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო;

### **მომხმარებელთა პოლიტიკა**

- ევროკავშირში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის სისტემა, რომლის მიზანია ბაზარზე განთავსებული პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კანონმდებლობით განისაზღვრა ორგანო, რომელიც განახორციელებს ბაზარზე განთავსებული შესაბამის პროდუქტზე ზედამხედველობას, რათა აღნიშნული პროდუქტები აკმაყოფილებდნენ მათთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ შეუქმნან საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას ან/და გარემოს.

### **ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგოეფექტურობა**

- ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დამატებით გამოყოფილი სესხის მეშვეობით დასრულდება საქართველო - ვარდნილის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროცესი.

### **ვაჭრობა, ეკონომიკა, საბაჟო პროცედურები**

- განხორციელდა კაპიტალის ბაზრის რეფორმა, გამარტივდა მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეგულაციები, დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, დაზუსტდა გადასახადის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ცალკეული ნორმები.

- დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლდა საჰაერო ფრენებთან და საზღვაო სერვისთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურებები.
- საქართველო შეუერთდა „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას, რომელიც ადგენს ყოვლისმომცველი საბაჟო პროცედურების სტანდარტებს, მათ შორის საქონლის გაფორმების, სასაქონლო დეკლარაციის წარდგენის, რეგისტრაციის, შემოწმების, გადასახადების უკან დაბრუნების ზოგად წესებს. კონვენციასთან შეერთება ხელს შეუწყობს საქონლის გადაადგილებას უფრო სწრაფად და ვაჭრობის ხარჯების შემცირებას, დაჩქარებული ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის გაზრდას; ინვესტიციების მატებას და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.

### **გარემოს დაცვა**

- შეიქმნა საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამართლებრივი საფუძველი, განისაზღვრა შემუშავებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო.

### **სატრანსპორტო უსაფრთხოება**

- დაიხვეწა კანონმდებლობა, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას არეგულირებს. გაიზარდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადგენილი წესის დარღვევისთვის დაწესებული სანქციის ოდენობა. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები, ასევე ინსპექტირების მიმართ მოთხოვნები და მისი პერიოდულობა განისაზღვრება მთავრობის ნორმატიული აქტით.

### **სივრცითი მოწყობა**

- შეიქმნა ერთიანი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა საქართველოში სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროში, რაც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს მოახდინონ ამ სფეროებში საკანონმდებლო რეგულაციების სწორი ინტერპრეტაცია და გამოყენება.

### **სამართალდაცვა**

- შეიქმნა ევროპოლთან თანამშრომლობის მარეგულირებელი ჩარჩო. საქართველოს გაუჩნდა შესაძლებლობა ევროპოლის მიერ შექმნილი უსაფრთხო კომუნიკაციის არხის მეშვეობით, მიიღოს პერსონალური მონაცემების შემცველი და ანალიზზე დაფუძნებული სამართალდაცვითი ინფორმაცია

### **განათლება**

- განიმარტა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დაკავშირებული დეფინიციები.
- მოწესრიგდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესები, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.
- შეიქმნა არაფორმალური საბაზო პროფესიული ცოდნის აღიარების მექანიზმი, რაც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ შესაძლებლობას, კერძოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას რეალურს ხდის და ასევე, იმ ადამიანებს, ვინც ვერ აიღო საბაზო განათლების ატესტატი, შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაონ მათთვის საჭირო პროფესიული უნარები.

### **ინტელექტუალური საკუთრება**

- დაიხვეწა საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები. დაზუსტდა საავტორო უფლებების აღიარებასთან, კონტრაფაქციული ასლების ჩამორთმევასთან, ზიანის ანაზღაურებასთან და კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე განისაზღვრა ამ მოთხოვნათა წაყენების წინაპირობები, ზიანისა და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები.

### **აუდიოვიზუალური (სამაუწყებლო) და ელექტრონული კომუნიკაციები**

- ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდა მედიაწიგნიერების ინსტიტუტი და განისაზღვრა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის უფლებამოსილებები და ვალდებულებები მედიაწიგნიერების სფეროში.

### **საჯარო შესყიდვები**

- შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის განხორციელებისას წარმოშობილ დავებს გადაწყვეტს.

### **საკვების უვნებლობა**

- საკვების უვნებლობის კოდექსში განისაზღვრა და დაზუსტდა მნიშვნელოვანი ნორმები და ტერმინები. გაიმიჯნა სხვადასხვა ტიპის ნაწარმის ეტიკეტირების წესები. დაკონკრეტდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მოვალეობები და პასუხისმგებლობა;



საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი:

- საქართველოს რეგიონებში დაიწყო მუნიციპალური სტრუქტურის - გზების, ქუჩების, წყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- დაიგეგმა საქართველოს საგზაო ქსელის დაახლოებით 250 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- განახლდა ქალაქ ჭიათურაში ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობა;
- ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის შეიძინეს 30 ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსი;
- მესტიის ხეობაში მოეწყო სათხილამურო საბაგიროები.

### პარლამენტის რეგლამენტის პროექტი

კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში განიხილა პარლამენტის ახალი რეგლამენტის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო პროცესის დახვეწას, საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას და პარლამენტის პოლიტიკური დებატების ცენტრად ჩამოყალიბებას.

### კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტები:

- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

2018 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონის პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც დამკვიდრდება ნორმატიული აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების და ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის დადგენის ერთგვაროვანი პრაქტიკა.

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა დანართი ცხრილის სახით, რომლის შევსება სავალდებულოა კანონპროექტის ინიციატორისთვის, თუ კანონპროექტი ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან ჰარმონიზება-დაახლოებას გულისხმობს.

შესაბამისობის ცხრილი იქნება ძირითადი ინსტრუმენტი კანონმდებლობის დაახლოებისთვის, რადგან ის კანონმდებლობის ხარვეზების შეფასების ეფექტური საშუალებაა და კარგად წარმოაჩენს ახალი კანონმდებლობის მიღების ან ცვლილების აუცილებლობას. ამგვარი ცხრილის დართვა განმარტებით ბარათზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

➤ **"მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი მუშაობდა "მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე.

კანონპროექტი განსაზღვრავს:

- მომხმარებლის ფუნდამენტურ უფლებებს;
- მომხმარებლის ინფორმირების ზოგად და ხელშეკრულების ცალკეული სახეობების შესაბამისად, სპეციალურ ვალდებულებებს;
- კანონის მიზნიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გავლის წესებსა და შედეგებს;
- ხელშეკრულების უარის თქმასთან დაკავშირებულ საგამონაკლისო ნორმებს.

კანონპროექტის გადამუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო უწყების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის ინიციატივით და GIZ-ის სამართლის პროგრამის მხარდაჭერით, მზადდება კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში.

### **3. საზედამხედველო საქმიანობა და კომუნიკაცია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან**

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისა და საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

კომიტეტი ზედამხედველობს ასოცირების შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის მიმდინარეობას.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა დანერგა პრაქტიკა, დარგობრივ კომიტეტებთან ერთად შეისწავლოს და სამუშაო შეხვედრებსა და კომიტეტის სხდომებზე განიხილოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებული ალტერნატიული ანგარიში „ასოცირების დღის წესრიგის შესრულება - სამოქალაქო საზოგადოების შეფასება“, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მონიტორინგის დამატებით საშუალებას წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა, დამოუკიდებლად და სხვა საპარლამენტო კომიტეტების მონაწილეობით, მოისმინა და განიხილა ანგარიშები შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის, მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA)“ 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დღის წესრიგით გათვალისწინებული 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში ასოცირების შეთანხმებისა და მისგან გამომდინარე დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების და ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაერთიანების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით, უვიზო მიმოსვლის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე;
- საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის კონცეფციის პრეზენტაცია;

- გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის, არსებული პრობლემების გადასაჭრელად გაწეული სამუშაოების და საქართველოს მიერ ნაკისრი დირექტივებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების შესახებ.
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შშმ ბავშვებისათვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის, შრომის უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმისა და სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო რეგულირების საკითხებზე;
- არასამთავრობო ორგანიზაცია - “მწვანე ალტერნატივა“-ს მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტმა განიხილა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისთვის. შეისწავლა უშუალოდ თავისი ზედამხედველობის სფეროში შემავალი უწყების, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული პროგრამების მიზნობრიობა, ასევე, სხვადასხვა სფეროში ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზება.

კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის მიმოხილვის პროცესში.

2018 წელს კომიტეტის სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე შესაბამისი უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

კომიტეტის ამოცანა იყო, საჯარო განხილვებით ხელი შეეწყო, ერთი მხრივ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ეფექტური საპარლამენტო კონტროლისთვის, მეორე მხრივ კი, შეექმნა ფორუმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დისკუსიისთვის.

### **ვებპორტალი WWW.AA.GE**

საქართველოს პარლამენტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თაოსნობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების პროცესში. დარგობრივ კომიტეტებთან ერთად ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ხელს უწყობს ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის ფარგლებში მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობაზე პერმანენტულ საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესს.

ზედამხედველობის ერთ-ერთი ინსტრუმენტია საქართველოს პარლამენტის საკუთრებაში არსებული ვებპორტალი [www.aa.ge](http://www.aa.ge), რომელიც უნიკალურია თავისი შინაარსით. მასზე ხელმისაწვდომია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები და დეტალური ინფორმაცია ხელშეკრულებით განსაზღვრული რეგულაციების, დირექტივების, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

პორტალი იძლევა მარტივი და მოქნილი მონიტორინგის საშუალებას და არის საჭირო და საინტერესო ინფორმაციის წყარო ფართო საზოგადოებისათვის. ვებპორტალი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, მიადევნოს თვალი ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საერთო პრიორიტეტების ამოქმედების ვადებს და შეაფასოს პროგრესი თითოეული მიმართულებით.

ვებპორტალის ტექნიკურ და შინაარსობრივ ზედამხედველობას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი უზრუნველყოფს. კომიტეტის მიერ შემუშავებული ფორმის საფუძველზე სამინისტროები და დარგობრივი კომიტეტები კვარტალურად აგზავნიან ინფორმაციას ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების პროცესში შესრულებული საქმიანობის შესახებ, რის შემდეგაც კომიტეტი, აღმასრულებელი უწყებებიდან და კომიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ახორციელებს ვებგვერდის კომპლექსური ინფორმაციის შევსება/განახლებას.

#### **4. საპარლამენტო დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი საპარლამენტო დიპლომატიის გზით ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერაა.

რაც გულისხმობს:

- საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ინფორმირებას;
- ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან;
- ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას;
- საერთაშორისო და რეგიონულ ღონისძიებებში მონაწილეობას;
- ევროპარლამენტის პოლიტიკურ ჯგუფებთან თანამშრომლობას.

2017-2018 წლის საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ხელმძღვანელობდა ევროპარლამენტთან არსებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საპარლამენტო ფორუმებში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციების საქმიანობას. კომიტეტი, დელეგაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფდა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის მხარდაჭერას. კომიტეტის განსაკუთრებული ძალისხმევა მოხმარდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტისა და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის (Euronest PA) ფარგლებში საქმიანობას და საქართველოს ინტერესების ამსახველი დოკუმენტების მიღებისთვის მუშაობას. ასევე, პრიორიტეტული იყო ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენციაში (COSAC) მონაწილეობა.

#### 4.1. ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი (EU-Georgia Parliamentary Association Committee)

ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის ერთობლივი ორგანო, ზედამხედველობს ასოცირების შეთანხმების განხორციელებას და უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის 2 სხდომა გაიმართა.

**2017 წლის 19-20 სექტემბერს, თბილისში, საქართველოს პარლამენტში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მეხუთე სხდომა.** პარტნიორებმა განიხილეს ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების განხორციელება, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული და საკონსტიტუციო რეფორმა, იმსჯელეს მართლმსაჯულების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, პარლამენტის მუშაობაში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე და ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმებზე. ასოცირების კომიტეტმა განიხილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობა და ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკა.

სხდომის დასასრულს, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტმა მიიღო განცხადება და რეკომენდაციები, რომლითაც აღიარა, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყანაა, ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობა უწყვეტად ვითარდება, რაც ბოლო პერიოდში ვიზა ლიბერალიზაციით და საქართველოს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებით გამოვლინდა.

- ❖ კომიტეტი მიესალმა ხელისუფლების უწყვეტ ძალისხმევას განხორციელოს ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ხალხს ხელშესახებ სარგებელს მოუტანს.
- ❖ კომიტეტმა მოუწოდა ევროკომისიას გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოსთვის ახალი ფინანსური დახმარების ინსტრუმენტი შეიმუშაოს.
- ❖ ასოცირების კომიტეტმა დადებითად შეაფასა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის პროექტის შემუშავება, მიმდინარე საჯარო სამსახურის რეფორმა, გარემოსდაცვითი შეფასების

ახალი კოდექსის მიღება, მოიწონა სისხლის სამართლის სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

- ❖ კომიტეტმა დაგმო რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ოკუპაციისა და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები. მოუწოდა რუსეთის ფედერაციას შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით მიღებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და გაიყვანოს სამხედრო ძალები. კომიტეტმა ასევე დადებითად შეაფასა საქართველოს პარლამენტის განზრახვა გააძლიეროს ზედამხედველობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების პროცესზე.

**2018 წლის 26 აპრილს, ევროპარლამენტში, ბრიუსელში, გაიმართა, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მეექვსე სხდომა.** კომიტეტმა განიხილა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები, დემოკრატიული რეფორმები და საკონსტიტუციო ცვლილებები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმები, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების განხორციელება და ღია მმართველობის დანერგვა სახელმწიფო ინსტიტუტებში.

საქართველოს პარლამენტის და ევროპარლამენტის წევრებმა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებს მოუსმინეს.

**სხდომის დასასრულს, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტმა მიიღო განცხადება და რეკომენდაციები:**

- ❖ ევროპარლამენტმა და საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს რომ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები ეფუძნება საერთო ღირებულებებს, ინტერესებს და თანამშრომლობას, დემოკრატიულ პრინციპსა და ანგარიშვალდებულებას, რაც საქართველოს ევროკავშირთან აახლოვებს;
- ❖ კომიტეტმა დადებითად შეაფასა ხელისუფლების ძალისხმევა, ხალხისა და საზოგადოების სასარგებლოდ, **სრულად შეასრულოს ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება** და ამ გზით უზრუნველყოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია;
- ❖ ასოცირების კომიტეტმა დადებითად შეაფასა **დემოკრატიული რეფორმები** შემდეგ სფეროებში: ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა, ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები, ენერგოეფექტურობა, გარემო და კლიმატის ცვლილება, მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები;
- ❖ ასოცირების კომიტეტმა მიიჩნია, რომ ევროკავშირმა მეტად უნდა წახალისოს აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყანა - საქართველო და **დიფერენცირების პრინციპის** საფუძველზე;

- ❖ კომიტეტმა მოუწოდა ევროკავშირის ინსტიტუტებს გაზარდოს საქართველოს ფინანსური მხარდაჭერა ასოცირების ხელშეკრულების ამბიციური მიზნების განსახორციელებლად;
- ❖ ასოცირების კომიტეტმა ხაზი გაუსვა სამომავლო სამუშაოების მნიშვნელობას საქართველო-ევროკავშირის ამბიციური პარტნიორობის პოტენციალის სრულად ათვისებისთვის და ამ მიმართულებით მოიწონა ხელისუფლების მიერ ახლად ინიცირებული, ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკა;
- ❖ ასოცირების კომიტეტმა კვლავ გამოთქვა საქართველოს სუვერენიტეტისადმი ევროკავშირის უპირობო მხარდაჭერა და დადებითად შეაფასა ახალი სამშვიდობო ინიციატივა “ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ”;
- ❖ ევროპარლამენტმა დადებითად შეაფასა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგად სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შეუფერხებელი მიმდინარეობა, რაც ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების ერთიან ევროპულ სივრცეში თავისუფალ გადაადგილებას და ქვეყნის ევროპეიზაციას.

#### 4.2. აღმოსავლეთ პარტნიორობის საპარლამენტო ასამბლეა (Euronest PA)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში აქტიურად იყო ჩართული.

2017 წლის, 29 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით კიევში, უკრაინის უმაღლეს რადაში გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის (ევრონესტის) საპარლამენტო ასამბლეის მეექვსე პლენარული სესია.

ღონისძიების დაწყებამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დელეგაციებს შორის, წინასწარი პოლიტიკური კონსულტაციების მიზნით, მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა. მეზობელი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი მოსაზრებები ევროპარლამენტთან ერთად შემუშავებულ რეზოლუციის საკითხებზე, გაეცნენ საგანგებო რეზოლუციის თემებს, იმსჯელეს ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის სამომავლო სამუშაო მიმართულებებზე და შეაჯერეს პოზიციები განსხვავებულ პოლიტიკურ საკითხებზე.

პირველ სამუშაო დღეს გაიმართა ასამბლეის 4 კომიტეტის სხდომა: 1. პოლიტიკური საკითხების, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის კომიტეტი; 2. ეკონომიკური ინტეგრაციის, საკანონმდებლო ჰარმონიზაციისა და პოლიტიკური დაახლოების კომიტეტი; 3. ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტი; 4. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი.

კომიტეტებმა სხდომებზე განიხილეს 2017 წლის განმავლობაში მომზადებული ანგარიშები მათი სფეროების მიხედვით და იმსჯელეს მისაღებ დოკუმენტებზე. სხდომებში ასევე მონაწილეობდნენ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები და ევროკომისიის წარმომადგენელი.

პოლიტიკის, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის კომიტეტის სხდომაზე მხარეებმა განიხილეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის ევროპარლამენტის მიერ მომზადებული რეზოლუცია. ამ დოკუმენტით,



რომლის მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, კიდევ ერთხელ გამოიხატა ევროკავშირის მკაფიო მხარდაჭერა საქართველოსადმი.

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტის სხდომაზე განიხილეს რეზოლუციის პროექტი - „ქალების მდგომარეობის შესახებ შრომის ბაზარზე აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში“. პარტნიორებმა დადებით შეაფასეს საქართველოს ძალისხმევა „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირებისთვის.

ეკონომიკურმა კომიტეტმა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირების თაობაზე იმსჯელა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობა და 2015 წლის პარიზის კლიმატის ცვლილების ხელშეკრულების განხორციელების პროცესი განიხილა.

31 ოქტომბერს, უკრაინის უმაღლეს რადაში გაიმართა **ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომა**, რომელშიც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა თამარ ხულორდავამ მიიღო მონაწილეობა. ბიურომ ასამბლეის პირველი სამუშაო დღის ღონისძიებები შეაჯამა და კომიტეტებისა და პოლიტიკური ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დაგეგმილი და საგანგებო რეზოლუციის პროექტები განიხილა. 31 ოქტომბერს ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ ახლად შექმნილი (ჯგუფი შეიქმნა ბიუროს სხდომაზე 2017 წლის 23 მაისის) ასოცირების შეთანხმების სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები აირჩია. ევროპარლამენტიდან ჯგუფის ხელმძღვანელებად დასახელდნენ კლერ მუდი (სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, გაერთიანებული სამეფო) და დარიუმ როზატი (ევროპის სახალხო პარტია, პოლონეთი), ხოლო აღმოსავლეთ კომპონენტიდან საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი თამარ ხულორდავა.

ასამბლეის ბიურომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის სპეციალური განცხადება შეიმუშავა, რომელმაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ამბიციური დეკლარაციის შემუშავებისკენ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაახლოების მკაფიო პოლიტიკური გეგმის შემუშავებისკენ მოუწოდა. ბიუროს განცხადება ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის წარმატებულ შედეგებს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებმაც ასოცირების ხელშეკრულება გააფორმეს ევროკავშირთან და სარგებლობენ თავისუფალი ვაჭრობისა და უფიზო მიმოსვლის რეჟიმით; აღიარებს ასოცირებული ქვეყნების ევროპულ მისწრაფებებს, მხარს უჭერს მათ ევროპულ არჩევანს და მიუთითებს, რომ ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად, ყველა ევროპულ ქვეყანას უფლება აქვს მიმართოს ევროკავშირის წევრობისთვის; ადასტურებს, რომ დიფერენცირების პრინციპის საფუძველზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველაზე დაწინაურებულ ქვეყნებთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება აუცილებელია; იძლევა რეკომენდაციას გაიზარდოს ევროკავშირისგან ფინანსური დახმარება ასოცირებული ქვეყნებისთვის, რათა ასოცირების დღის წესრიგისა და ასოცირების შეთანხმების საფუძველზე ამბიციური გეგმები განხორციელდეს; გამოხატავს უპირობო მხარდაჭერას საქართველოს და სხვა აღმოსავლეთ

პარტნიორობის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი და გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, საჭიროდ მიიჩნევა გაძლიერდეს კოლექტიური ზეწოლა რუსეთზე.

31 ოქტომბერს **ასოცირებული ქვეყნების სამუშაო ჯგუფმა** ევროპარლამენტისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის დელეგაციების შემადგენლობით პირველი სხდომა გამართა. სხდომას თამარ ხულორდავა და დარიუშ როზატი თავმჯდომარეობდნენ. პარტნიორობმა პირველ სხდომაზე მომავალი საქმიანობის ფორმატზე და სამუშაო მექანიზმებზე იმსჯელეს. ჯგუფის მიზანია ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით ასოცირებული ქვეყნების დაწინაურებული პოზიციების განმტკიცება და საპარლამენტო კონსულტაციების გზით ასოცირების ხელშეკრულებების შესრულების ხელშეწყობა.

1 ნოემბერს **ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პლენარული სხდომა გაიხსნა**. პლენარულ სხდომაზე, რეზოლუციის თანაავტორების მოხსენებების შემდგომ, ასამბლეის 4 კომიტეტის მიერ მომზადებული რეზოლუციები მიიღეს:

- ✓ ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ახალგაზრდობის უმუშევრობის შემცირება
- ✓ ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მედიის თავისუფლების მდგომარეობა
- ✓ 2015 წლის პარიზის კლიმატის ცვლილების შეთანხმების განხორციელება ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად
- ✓ ქალთა დასაქმების მდგომარეობა შრომით ბაზარზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

მეექვსე პლენარულ სესიაზე ასამბლეამ საგანგებო რეზოლუციებიც დაამტკიცა. საგანგებო რეზოლუციებში აღმოსავლეთ ევროპაში არსებული რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და საგარეო საფრთხეები აისახა. ასამბლეამ სრულად გაიზიარა საქართველოს პარლამენტის დელეგაციის პოზიციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესების შესახებ და საერთაშორისო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე სათანადო რეაგირებისკენ. საგანგებო რეზოლუციები მიიღეს შემდეგ საკითხებზე:

- ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესება დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ყირიმში, დონეცკის და ლუგანსკი ოლქების ნაწილებში;
- ლეტალური ეფექტის მქონე იარაღის ავტონომიური სისტემების შესახებ;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავლის შესახებ - ჰიბრიდული საფრთხეებისა და უსაფრთხოების რისკების ერთობლივად დაძლევის თაობაზე.

24-27 ივნისს ევროპარლამენტში, ბრიუსელში გაიმართა **აღმოსავლეთ პარტნიორობის (ევრონესტის) საპარლამენტო ასამბლეის მეშვიდე პლენარული სესია**.

ღონისძიების დაწყებამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დელეგაციებს შორის, წინასწარი პოლიტიკური კონსულტაციების მიზნით, გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრა. პარლამენტის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი მოსაზრებები რეზოლუციის პროექტების საკითხებზე, გაეცნენ საგანგებო რეზოლუციის თემებს, იმსჯელეს ევრონესტის

საპარლამენტო ასამბლეის სამომავლო სამუშაო მიმართულებებზე და შეაჯერეს პოზიციები განსხვავებულ პოლიტიკურ საკითხებზე.

პირველ სამუშაო დღეს გაიმართა ასამბლეის 4 კომიტეტის სხდომა: 1. პოლიტიკური საკითხების, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის კომიტეტი; 2. ეკონომიკური ინტეგრაციის, საკანონმდებლო ჰარმონიზაციისა და პოლიტიკური დაახლოების კომიტეტი; 3. ენერჯო უსაფრთხოების კომიტეტი; 4. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი.

კომიტეტებმა სხდომებზე განიხილეს 2018 წლის განმავლობაში მომზადებული ანგარიშები მათი სფეროების მიხედვით და იმსჯელეს მისაღებ დოკუმენტებზე. სხდომებში მონაწილეებდნენ ევროკომისიის და ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელები.

პოლიტიკის, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის კომიტეტმა განიხილა თამარ ხულორდავას და ევროპარლამენტის წევრის გუნარ ჰოკმარკის თანაავტორობით მომზადებული რეზოლუციის პროექტი თემაზე „უსაფრთხოების გამოწვევები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ევროკავშირის როლის გაძლიერება მათ დარეგულირებში“. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ უსაფრთხოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და სახელმწიფოთა დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა. მიუხედავად აღნიშნულზე საერთო სულისკვეთებისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის არა ასოცირებულ ქვეყნებს შორის რთულია საერთო პოზიციების შეჯერება და ძალისხმევას მოითხოვს მათთან ერთად ერთობლივი დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტების შემუშავება.

თამარ ხულორდავამ კომიტეტს გააცნო რეზოლუციის პროექტის ძირითადი განცხადებები და რეკომენდაციები, რომელთა თანახმად:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უსაფრთხოება განსაზღვრავს ევროკავშირის სტაბილურობას და უსაფრთხოებას;
- კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპაში აფერხებს ამ ქვეყნების და ევროკავშირის საერთო ინტერესების რეალიზაციას;
- რეგიონში დესტაბილიზაციის წყარო რუსეთია, რომლის აგრესიული პოლიტიკა არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს;
- მოუწოდებს ევროკავშირს უფრო აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტების გადაწყვეტაში, გააძლიეროს პარტნიორობთან თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა ასევე განიხილა ევროკავშირის ბიუჯეტის რეფორმირების საკითხები, მათ შორის საგარეო საქმეების დაფინანსების ინსტრუმენტები. თამარ ხულორდავამ ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საბიუჯეტო ინსტრუმენტზე - „სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ მნიშვნელობაზე და მის დადებით როლზე აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის

წარმატებაში და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში „სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ცალკე მექანიზმად დატოვება ხელს შეუწყობს ასოცირებული ქვეყნების ამბიციური რეფორმების განხორციელებას და მოემსახურება ევროინტეგრაციის პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტმა იმსჯელა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკული მდგრადობის შესახებ. საუბარი შეეხო რეგიონის ენერგო-პროექტებს, განახლებადი ენერჯის განვითარებასა და ენერგოეფექტიანობის დანერგვის გზებს. კომიტეტმა დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც შევიდა საქართველოს დელეგაციის მიერ დაყენებული ცვლილებები და დამატებები. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანება, რაც ითვალისწინებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის ძიება, მოპოვება, ტრანზიტი, განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტიანობა. კომიტეტის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა მომავალი წლის რეზოლუციის თემასთან დაკავშირებით, პარტნიორებმა გაიზიარეს საქართველოს დელეგაციის მიერ შეთავაზებული საკითხი.

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტმა სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა რეზოლუცია „არაფორმალური და არაკვალიფიციური შრომა და დასაქმებულთა სოციალური უსაფრთხოების გაძლიერება ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში“. სხდომაზე ასევე განიხილეს ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის შედეგები, ბოლონიის პროცესის ფარგლებში უნივერსიტეტების დიპლომების და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების თაობაზე.

ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების კომიტეტის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს რეზოლუცია „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში“. კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში ფინანსურ სტაბილურობასა და საბანკო სექტორის განვითარებაზე აღმოსავლეთ ევროპაში.

26 ივნისს, გაიმართა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომა, რომელშიც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, თამარ ხულორდავამ მიიღო მონაწილეობა. ბიურომ შეაჯამა ასამბლეის პირველი სამუშაო დღის ღონისძიებები და განიხილა კომიტეტებისა და პოლიტიკური ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დაგეგმილი და საგანგებო რეზოლუციის პროექტები. საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ წარადგინა საგანგებო რეზოლუცია ევროკავშირის ბიუჯეტში „სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ცალკე მექანიზმად დატოვების შესახებ. ბიურომ იმსჯელა წარმოდგენილი საგანგებო რეზოლუციების მიზანშეწონილობაზე და შემოთავაზებული 6 პროექტიდან 3 საკითხი შეარჩია საგანგებოდ მისაღებად, მათ შორის საქართველოს დელეგაციის ინიციატივაც აღმოჩნდა. დელეგაციებს შორის განაწილდა კომიტეტების მიერ წარმოდგენილი სამომავლო რეზოლუციის თემები. საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ერგო ენერგო

უსაფრთხოების კომიტეტის მიერ შერჩეული თემა „უსაფრთხოების რისკები და ევროკავშირის როლის ზრდა მათი მოგვარებისთვის“.

26 ივნისს, ევროპარლამენტში, თამარ ხულორდავას თავმჯდომარეობით ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ასოცირებული ქვეყნების სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიმართა. სამუშაო ჯგუფმა მოისმინა ინფორმაცია ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შესახებ, რომელიც ეხება საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებების განხორციელების ინსტიტუციურ მექანიზმებს. თამარ ხულორდავამ და მისმა პირველმა მოადგილემ ირინე ფრუიძემ პარტნიორებს საქართველოში მიმდინარე უახლესი საკანონმდებლო ღონისძიებები გააცნეს, რომლებიც ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესის სრულყოფას და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების შესაძლებლობების განვითარებას ისახავს მიზნად.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის შესახებ ინიციატივა. პარლამენტის წევრებმა სამმხრივი ურთიერთობების და თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. თამარ ხულორდავამ განაცხადა, რომ საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვა ამბიცია და სამართლებრივი კავშირი აქვს ევროკავშირთან. თანამშრომლობას საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის კიდევ უფრო ამყარებს სამ ქვეყნას შორის შექმნილი საპარლამენტო ასამბლეა, რომლის პირველი სხდომა მიმდინარე წლის სექტემბერში თბილისში გაიმართება. თანამშრომლობის გაღრმავებას სამ ასოცირებულ ქვეყანას შორის მხარს უჭერენ ევროპარლამენტარები, ევროკომისია და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამახური.

26 ივნისს გაიხსნა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პლენარული სხდომა. პლენარულ სხდომაზე, რეზოლუციის თანაავტორების მოხსენებების შემდგომ, მიღებულ იქნა ასამბლეის 4 კომიტეტის მიერ მომზადებული რეზოლუციები შემდეგ თემებზე:

- უსაფრთხოების გამოწვევები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ევროკავშირის როლის გაძლიერება მათ დარეგულირებაში;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში;
- ენერგოეფექტურობის განვითარება და მდგრადი ენერგეტიკა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში;
- არაფორმალური და არაკვალიფიციური შრომა და დასაქმებულთა სოციალური უსაფრთხოების გაძლიერება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

მეშვიდე პლენარულ სესიაზე ასამბლეამ დაამტკიცა საგანგებო რეზოლუციები შემდეგ თემებზე:

- ევროკავშირის მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო 2020 წლის შემდეგ და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის განვითარება;
- სომხეთსა და ევროკავშირს შორის ყოვლისმომცველი და გაზრდილი პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის დაჩქარება
- უკრაინელი პოლიტიკური პატიმრები რუსეთში

#### **4.3. ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენცია (COSAC)**

2017-2018 წლების საანაგარიშო პერიოდში ასევე პრიორიტეტული იყო ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენციასთან (COSAC) თანამშრომლობა.

ახლო კონსულტაციები მიმდინარეობდა **ესტონეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობისას**. მეგობარ ქვეყანასთან გააქტიურდა საპარლამენტო კავშირები, ესტონეთის საპარლამენტო დელეგაცია, წარმომადგენლობითი შემადგენლობით, ვიზიტით ეწვია საქართველოს და 2017 წლის ნოემბერში კოსაკის დეკლარაციაში ნათლად აისახა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ინტერესები.

**ბულგარეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის** პერიოდში კომიტეტმა, პარტნიორ მოლდოვისა და უკრაინის კოლეგებთან ერთად, წერილობით მიმართა ბულგარეთის პარლამენტის შესაბამის წარმომადგენლებს, რათა ევროკავშირის ბიუჯეტის სტრუქტურის მიმდინარე რეფორმის პროცესში ასოცირებული ქვეყნების ინტერესების გასათვალისწინებლად კოსაკის ფარგლებში იქნას მოპოვებული მხარდაჭერა.

#### **4.4. საპარლამენტაშორისო თანამშრომლობის ინიციატივა - საქართველო, მოლდოვა და უკრაინა**

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შექმნილი პლატფორმის მიზანია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, ასოცირების ხელშეკრულების შესრულებისა და გამოყენების გზით, ხელი შეუწყოს ასოცირებული ქვეყნების დაახლოებას ევროკავშირთან. ბოლო წლების განმავლობაში პლატფორმა ჩამოყალიბდა როგორც ევროპარლამენტის, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის პარლამენტებისგან შემდგარი საკონსულტაციო ორგანო. ინიციატივის ფარგლებში უკვე არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა და ერთობლივი დეკლარაცია გამოიცა.

2017 წლის 16 სექტემბერს, იტალიაში საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის პარლამენტის წევრებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის წინ ერთობლივ დეკლარაციას - კომოს კომუნიკეს მოაწერეს ხელი. კომოს კომუნიკე, მიმართავს რა ევროპარლამენტს, ევროკავშირის

საბჭოს და კომისიას, კიდევ ერთხელ აცხადებს სამი ასოცირებული ქვეყნის ევროპულ არჩევანს; ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის შედეგად ევროკავშირთან მიღწეული დაახლოების ისტორიულ მნიშვნელობას; საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის პარლამენტებმა სამიტს მოუწოდეს, სამი ასოცირებული ქვეყნის დამსახურების გათვალისწინებით, აღიარებულ იქნას მათი ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, მიმართეს ევროკავშირს გააძლიეროს ასოცირებული პარტნიორობის მხარდაჭერა, გაზარდოს ფინანსური დახმარება და გაძლიერდეს კოლექტიური ძალსხმევა და უფრო აქტიური ნაბიჯები გადაიდგას ქვეყნების სუვერენიტეტის დასაცავად და რუსული საფრთხის დასაძლევად. დოკუმენტი აღწერს, რომ სამ ქვეყანას საერთო საფრთხე და საერთო, შორსმომავალი მიზნები აერთიანებს, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოები მზად არიან, უფრო ძლიერი სასტარტო პოზიციიდან მოსთხოვონ ევროკავშირს „მეტი მეტისთვის“ - პარტნიორობის გაძლიერება დემოკრატიული მიღწევებისთვის.

#### **4.5. კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრები და ვიზიტები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე როგორც ინდივიდუალურად, ასევე, საპარლამენტო დელეგაციების ფორმატში მონაწილეობდა არაერთ ღონისძიებაში მათ შორის:

##### **კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტები ევროპარლამენტში**

**2017 წლის 14 სექტემბერს** ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავამ ევროპარლამენტში აღმოსავლეთ პარტნიორობის თაობაზე გამართულ დებატებში მიიღო მონაწილეობა. ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების პარლამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით, 24 ნოემბერს დაგეგმილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის რეკომენდაციები განიხილა. ევროპარლამენტის წევრებმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევრონესტის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელებმა იმსჯელეს თუ როგორ უნდა განვითარდეს და უფრო მეტად გაღრმავდეს საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების სამომავლო კავშირი ევროკავშირთან.

**2018 წლის 30 იანვრიდან - 1 თებერვლის ჩათვლით** ევროპარლამენტში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თამარ ხულორდავას ვიზიტი გაიმართა.

მიმდინარე წლის პირველი ვიზიტი ბრიუსელში, ევროპარლამენტში მიზნად ისახავდა ევროპარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრებთან შეხვედრას, ევროპარლამენტთან ერთობლივად მოქმედი საპარლამენტო ფორუმების საქმიანობის კოორდინაციას, მათ შორის თბილისში დაგეგმილი ევრონესტის საკომიტეტო სხდომების

მომზადებას და სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრების გამართვას.

კომიტეტის თავმჯდომარისა და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის სამდივნოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განხილულ იქნა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის სამუშაო პროგრამა, კომიტეტის სხდომების დღის წესრიგები და შერჩეულ საკითხებზე განისაზღვრა მომხსენებლები, როგორც ევროკავშირის და ისე საქართველოს მხრიდან.

ორმხრივი შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ევროპარლამენტის შემდეგ წევრებთან: ანელი იატენმაკი (ფინეთი, ლიბერალთა ალიანსი), არტის პაბრიკსი (ლატვია, სახალხო პარტია), ენდი კრისტეა (რუმინეთი, სოციალისტების პოლიტიკური ჯგუფი), ხავიერ ნარტი (ესპანეთი, ლიბერალთა ალიანსი), საჯად კარიმი (გაერთიანებული სამეფო, კონსერვატორი), მიჰალ გალერი (გერმანია, სახალხო პარტია), კრისტიან პრედა (რუმინეთი, სახალხო პარტია), ლაიმა ანდრიკიენე (ლიტვა, სახალხო პარტია), ანა გომესი (პორტუგალია, სოციალისტების პოლიტიკური ჯგუფი), კატი პირი (ნიდერლანდები, სოციალისტების პოლიტიკური ჯგუფი) და გუნარ ჰოკმარკი (შვედეთი, სახალხო პარტია). საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელებთან კლერ მუდისთან (გაერთიანებული სამეფო, სოციალისტების პოლიტიკური ჯგუფი) და მიჰალ გალერთან (გერმანია, ევროპის სახალხო პარტია).

შეხვედრებზე საუბარი შეეხო ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების 2017 წლის მდგომარეობას. მხარეებმა განიხილეს ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში მოქმედი ასოცირებული ქვენების სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმა. კომიტეტის თავმჯდომარემ ევროპარლამენტარებს აცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების შესახებ და პარტნიორებთან დაისვა საქართველოს ოკუპაციის თემაზე საგანგებო რეზოლუციის შემუშავების საკითხი. საუბარი ასევე შეეხო საკონსტიტუციო ცვლილებებს, კანონს მაუწყებლობის შესახებ და საქართველოს მთავრობის საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხს, კერძოდ, პრემიერმინისტრისა და მთავრობის წევრების პარლამენტის სხდომებზე რეგულარული მოსმენის აუცილებლობას.

**2018 წლის, 26-28 თებერვალს,** ევროპარლამენტში საქართველოს დელეგაციის ვიზიტი გაიმართა. ვიზიტის მიზანი იყო საპარლამენტო ზედამხედველობის კუთხით გამოცდილების გაზიარება და მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ევროპარლამენტის ძირითადი პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან, ევროპარლამენტში საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრებთან, ევროპარლამენტარებთან - კლერ მუდისთან, ანა გომესთან, მიჰაილ გალერთან, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტთან პაშკუსთან, საქართველო ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების ჯგუფის ხელმძღვანელსაჯად კარიმთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესდევიდ მაკალისტერთან, ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტჰეიდი ჰაუტალასთან, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტრებეკა ჰარმსთან.



შეხვედრებზე ისაუბრეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე. გაგრძელდა კონსულტაციები ევროპარლამენტის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების თაობაზე სპეციალური რეზოლუციის მიღების შესახებ. მხარეებმა ასევე მიმოიხილეს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები, ქართულმა მხარემ ევროპელ კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, რომელიც საქართველოს მოქალაქეების მიერ უვიზო მიმოსვლის პირობების დარღვევის პრევენციას ეხება.

შეხვედრების შედეგად, რუსეთის ოკუპაცია და ტატუნაშვილის გარდაცვალების ფაქტი ინდივიდუალური განცხადებებით დაგმეს ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარემ საჯად კარიმმა და ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების დელეგაციის წევრებმა, ევროპარლამენტარებმა, კლერ მუდიმ, ანა გომესმა და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტმა რებეკა ჰარმსმა .

*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ძალისხმევის და ევროპარლამენტის ჯგუფებთან აქტიური მუშაობის შედეგად, 2018 წლის 14 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის ინტერვენციიდან 10 წლის შემდეგ“.*

რეზოლუციის თანახმად, ევროპარლამენტი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. მასში აღნიშნულია, რომ სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარება არის ევროპული უსაფრთხოების წესრიგის ძირითადი პრინციპი. საქართველოს კონფლიქტის მოგვარება არსებითია ევროპულ კონტინენტზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების გასამდიერებლად. კონფლიქტები და საქართველოს ტერიტორიების განგრძობადი ოკუპაცია წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტისთვის.

ევროპარლამენტი მკაფიოდ მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს საქართველოს რეგიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ევროპარლამენტი რუსეთს მოუწოდებს, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულების უპირობო შესრულებისკენ. განსაკუთრებით იმ ვალდებულების შესრულებისკენ, რომელიც გულისხმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას.

აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციამ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის 2018 წლის მარტის რეზოლუციის პათოსი, შესაბამისად არის კიდევ ერთი საერთაშორისო მხარდაჭერის აქტი და ეფექტიანი საშუალება, რათა საქართველოს კონფლიქტის თემა იდგეს საერთაშორისო დღის წესრიგში.

### **კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში**

2017 წლის 4-7 სექტემბერს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავამ პოლონეთში, კრინიცას 27-ე ეკონომიკურ ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

კრინიცას ეკონომიკური ფორუმი, ყოველწლიური შეკრებაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ევროპის წამყვანი პოლიტიკური, აკადემიური წრეებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით. ფორუმზე მსჯელობენ საერთაშორისო პროცესების შესახებ, რეგიონში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე, განიხილავენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებს.

კრინიცას 27-ე ეკონომიკურ ფორუმში, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა, პოლონეთის სეიმის მარშალის, მარეკ კუხჩინსკის მიწვევითა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობდა. პოლონეთის სეიმის ორგანიზებით ფორუმის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია „კარპატების ევროპა“, რომელიც მთავარი განხილვის საგანი იყო კარპატების რეგიონი და მისი განვითარების პერსპექტივები.

თამარ ხულორდავამ მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით წარსდგა სეიმის პანელზე, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას და მიგრაციის კრიზისს. აღნიშნულ თემატიკაზე მოხსენებით წარსდგნენ პოლონეთის სეიმის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე - იზაბელა კლოჩი, პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი - მარიუმ ბლასზაკი და სერბეთის პარლამენტის ვიცე სპიკერი - გორდანა კომიჩი. მოხსენებებში გამოიკვეთა საერთო ხედვა, რომ უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის მოკლევადიანი გეგმები არ არის ეფექტური. თამარ ხულორდავამ ისაუბრა აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოსა და ევროკავშირის საერთო გამოწვევებზე, ხაზი გაუსვა ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ნეგატიურ გავლენას ასოცირებულ პარტნიორ ქვეყნებში რეფორმებისადმი ინტერესის, ხარისხისა და ტემპის შენარჩუნებაზე და საქართველოში და ზოგადად აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში სტაბილურობის და ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელობაზე ევროკავშირის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის.

კომიტეტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო 27-ე ეკონომიკური ფორუმის პანელში თემაზე, მმართველობის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. თამარ ხულორდავამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების და კორუფციის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ რეფორმებზე. ისაუბრა ასოცირებს შეთანხმების განხორციელებაზე და შესაძლებლობებზე, რომლებსაც საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა იძლევა და ევროკავშირთან და სხვა დიდ ბაზრებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები განაპირობებს.

### **კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში**

2017 წლის 19-20 დეკემბერს, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ნიდერლანდების სამეფოში, ჰააგში, სადაც საქართველოს, უკრაინისა და ჰოლანდიის პარლამენტარებს, პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შორის მაღალი დონის პოლიტიკურ შეხვედრებში მიიღო

მონაწილეობა. ჰააგის დიალოგის პლატფორმის მიზანი იყო ქართველ, უკრაინელ და ჰოლანდიელ პოლიტიკოსებს შორის თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათ შორის კავშირების გაღრმავება. შეხვედრების დღის წესრიგი მოიცავდა დისკუსიებს ისეთ საკითხებზე როგორც არის ევროკავშირთან საქართველოსა და უკრაინის ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, აღმოსავლეთ პარტნიორობის მეხუთე სამიტის შედეგები, რეგიონალური უსაფრთხოება და კონფლიქტის მოგვარება, ყალბი ახალი ამბებისა და ანტი-დემოკრატიული პროპაგანდის გავრცელება, ანტი-კორუფციული რეფორმები, პოლიტიკური დიალოგი და დემოკრატიზაციის პროცესები. ჰააგის დიალოგი, რომელიც ჩამოყალიბდა რეგულარული დიალოგის პლატფორმად ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებას და კონსულტაციებს ისეთი მნიშვნელობის თემებზე რომლებიც გავლენას ახდენს რეგიონის სტაბილურობაზე და საერთო ევროპულ უსაფრთხოებაზე. ვიზიტი განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (EECMD), ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტთან (NIMD) და კლინგენდაელის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

ვიზიტის პერიოდში საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ელჩის, იოს დაუმას ორგანიზებით, თამარ ხულორდავამ ორმხრივი შეხვედრა გამართა ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჰან ბროკესთან.

### **კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი ლატვიის რესპუბლიკაში**

2017 წლის 29 სექტემბერს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ რიგაში შეხვედრები გამართა ლატვიის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან ლოლიტა ჩიგანესთან და ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანთან ზანდა კალნინა ლუკაშევიჩთან. შეხვედრაზე განიხილეს ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესი და ამ მხრივ მიღწეული წარმატებები და გამოწვევები. ყურადღება გამახვილდა 24 ნოემბერს ბრიუსელში დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე და საქართველოს ხედვებსა და მოლოდინზე.

ვიზიტის ფარგლებში კომიტეტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაციის და ლატვიის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ერთობლივი ორგანიზებით დაგეგმილ რიგის მე-12 საერთაშორისო კონფერენციაში. კონფერენციაზე მიწვეულნი იყვნენ ევროპისა და ამერიკის პოლიტიკური და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მინისტრები, ჟურნალისტები, დიპლომატები და ბიზნეს ლიდერები. იმსჯელეს რეგიონულ და გლობალურ გამოწვევებსა და ტენდენციებზე, ევროპის მომავალზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პერსპექტივებზე, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, ევროპის უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ჰიბრიდულ საფრთხეებზე და ნატოს როლზე, ისევე, როგორც ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მზარდ პოპულარობაზე.

### **ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საქართველოში**

2018 წლის 4 მაისს კომიტეტის თავმჯდომარე ბულგარეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციის წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებები და ევროკავშირის მხარდაჭერა ქვეყნის დემოკრატიზაციის და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ასევე განიხილეს საქართველოს მოქალაქეების მტკიცე მხარდაჭერა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე. ასევე განიხილეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები და სამშვიდობო პოლიტიკის საკითხები.

### **ჩეხეთის რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საქართველოში**

2018 წლის 22 მაისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, გიორგი კანდელაკთან ერთად, ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც სენატის ვიცე-პრეზიდენტი, ირჟი შესტაკი ხელმძღვანელობდა.

სტუმრებმა შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაადასტურეს საკუთარი ქვეყნის ურყევი მხარდაჭერა, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ისე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და საპარლამენტო ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერებაზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა კონკრეტულ სარგებელზე, რომელზეც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით ხელი მიუწვდება საქართველოს და საქართველოს მოქალაქეებს.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს ევროკავშირის როლზე საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესში.

### **ესტონეთის პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში**

2018 წლის 22 მაისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, მოადგილეებთან - ირინე ფრუიძესა და გიორგი კანდელაკთან ერთად, ესტონეთის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრებს შეხვდა.

შეხვედრისას, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული შედეგები და ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესი მიმოიხილა. ყურადღება გამახვილდა რბილი ძალის საფრთხეებზე, რაც მოსახლეობის განწყობებით მანიპულირებასა და ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოებაში გამოიხატება.

### **გერმანიის ფედერაციის ბუნდესტაგის წევრების ვიზიტი საქართველოში**

2018 წლის 24 აგვისტოს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრებთან ერთად, გერმანიის ბუნდესტაგის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე, გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციაში, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, გერმანიის როლი საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერის კუთხით, ოკუპაცია და რუსული აგრესია იყო საქართველოს პარლამენტისა და გერმანიის ბუნდესტაგის წევრებს შორის გამართული შეხვედრის მთავარი თემა.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო რუსული აგრესიის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს და ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესს.

**2018 წლის 23 ივლისს** პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა საქართველოს საკითხებზე ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მომხსენებელს ანდრეს მამიკინსს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით რეფორმების მიმდინარეობა მიმოიხილეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეფორმების მიმდინარეობას როგორც ადამიანის უფლებების სფეროში, ისე ეკონომიკური თანამშრომლობის, ტრანსპორტის და ენერგეტიკის, გარემოს დაცვის სფეროებში.

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად ევროპარლამენტი საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშს მოამზადებს.

## **5. საზოგადოებასთან ურთიერთობა, თანამშრომლობა სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან**

საქართველოს პარლამენტში ევროპული მიმართულების გაძლიერებისა და განვითარების, აგრეთვე, ევრო-ინტეგრაციული პროცესების პოპულარიზაციის მიზნით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ანალიტიკური საქმიანობაა.

**კონფერენცია „ევროკავშირი და პარტნიორები - მრავალფეროვნება ძლიერი ერთობისთვის“**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციას „ევროკავშირი და პარტნიორები – მრავალფეროვნება ძლიერი ერთობისთვის“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის პარლამენტების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტების წევრები, ევროპარლამენტის წევრები, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები.

ფორუმის მონაწილეებმა იმსჯელეს ასოცირების შეთანხმებებისა და ევროკავშირთან თანამშრომლობის სხვა საპარტნიორო ინსტრუმენტების ფარგლებში გატარებული რეფორმების შედეგად მიღებული სარგებლისა და არსებული გამოწვევების შესახებ; განიხილეს ევროკავშირში ინტეგრაციის გავლენა საზოგადოების ტრანსფორმაციაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, სიღარიბის აღმოფხვრასა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე; ასევე იმსჯელეს ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესსა და მასში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების როლზე. საინტერესო დისკუსია გაიმართა ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენისა და სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობაზე.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, აგრეთვე ენერგეტიკისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან უფრო ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე, მასში გაწევრიანების გარეშე, მათ შორის, ევროკავშირის პროგრამებში ეტაპობრივ ჩართვაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის მნიშვნელობაზე და ა.შ.

## **ევროპის დღეები საქართველოში**

2018 წლის აპრილ-მაისში კომიტეტის მიერ „ევროპის დღის“ აღსანიშნავად ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება:

### **„ჩემი თვალთ დასახული ევროპა“**

ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „ჩემი თვალთ დასახული ევროპა“ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის და კონრად ადენაურის ფონდის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა.

ღონისძიების პირველ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტის წევრები შეხვდნენ ამბროლაურის, ონის, თელავის, ახმეტის რაიონის და ყაზბეგის საჯარო სკოლების მოსწავლეებს.

შეხვედრებზე დეპუტატებმა ევროპული სივრცისკენ საქართველოს სწრაფვაზე და ამ მიმართულებით ქვეყნის მიერ განვლილ გზაზე, გამოწვევებზე, ევროკავშირთან უფრო ღრმა

თანამშრომლობის პერსპექტივებზე და სიკეთეებზე იმსჯელეს. ასევე, ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან დაახლოების მიზნით ქვეყნის მიერ გატარებულ რეფორმებზე.

ინტერაქციული შეხვედრის შემდეგ, დაინტერესებულმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ხატვის იმპროვიზირებულ კონკურსში სახელწოდებით: „ჩემი თვლით დანახული ევროპა“.

ლონისძიების მეორე ეტაპზე 8 მაისს კონკურსის მონაწილეებს საქართველოს პარლამენტში უმასპინძლეს. სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ მოხდა ნამუშევრების შერჩევა და 40 საუკეთესო ნამუშევარი პარლამენტის თამარ მეფის სახელობის დარბაზში გამოეფინა. მოწვეულ სტუმრებს მიმართეს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ, განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობითი ოფისის დირექტორმა ტომას შრაპელმა. გამოვლინდა საუკეთესო ნახატების ავტორი სამი გამარჯვებული რომელთაც სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

## **საჯარო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში**

**2018 წლის 13 აპრილს** ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ ბოლნისში მაჟორიტარ დეპუტატ გოგი მეშველიანთან, ხოლო მარნეულში რუსლან გაჯიევთან ერთად, ევროპის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საჯარო შეხვედრები გამართეს.

საჯარო შეხვედრებისას, კომიტეტის თავმჯდომარემ ევროპული სივრცისკენ საქართველოს სწრაფვაზე, ამ მიმართულებით ქვეყნის მიერ განვლილ გზაზე, გამოწვევებზე, ევროინტეგრაციის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელზე, ევროკავშირთან უფრო ღრმა თანამშრომლობის პერსპექტივებზე და ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ძირითადი ყურადღება ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა და არსებული პოტენციალის უფრო უკეთ ათვისების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყანაში უკვე განხორციელებულ და სხვადასხვა მიმართულებით ჯერ კიდევ განსახორციელებელ რეფორმებზე, საუბარი შეეხო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებას და იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ეს შეთანხმება იძლევა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია და პერსპექტივა, ამ მიმართულებით არსებული მიღწევები და გამოწვევები იყო შეხვედრის მთავარი თემა, რომლებზეც ბექა ნაცვლიშვილმა და რუსლან პოდოსიანმა „ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში, ახალქალაქში გამართულ საჯარო შეხვედრებისას ისაუბრეს **2018 წლის 30 აპრილს**.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მოსახლეობის ინფორმირების და მათი დისკუსიებში ჩართვის მნიშვნელობაზე ისეთ თემებზე, როგორცაა საქართველოს ევროპული მომავალი და ზოგადად, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები.

შეხვედრები ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა. პარლამენტის წევრებმა დამსწრე საზოგადოებას მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავად უპასუხეს.

შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თანაორგანიზებით, შედგა.

#### **ახალგაზრდული თამაში - „ჩემი ევროპული თავგადასავალი“**

„ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში ქ. გორში და ქ. რუსთავში, მოეწყო მოსწავლეთა შეჯიბრი თემაზე: „ჩემი ევროპული თავგადასავალი“.

ღონისძიება პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, ევროკავშირის, გაეროს განვითარების ფონდის და საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის (სსმო) ორგანიზებით გაიმართა.

გორში ღონისძიებას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა და საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროპარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრები დაესწრნენ და გამარჯვებულ გუნდს საჩუქრები გადასცეს.

თამაშში საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. 4 საათის განმავლობაში, გუნდები სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში ევროკავშირის შესახებ ცოდნაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

#### **ევროპის დღეები 2018 - საქართველოს პარლამენტის წევრებისა და ევროკავშირის ქვეყნების ელჩების შეხვედრები სტუდენტებთან**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრებმა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან ერთად, საჯარო შეხვედრები გამართეს სტუდენტებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან საქართველოს ხუთ სახელმწიფო უნივერსიტეტში.

#### **ბლოგი „ვირჩევ ევროკავშირს“**

7 მაისს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა „ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში გამოაცხადა კონკურსი თემაზე: „ვირჩევ ევროკავშირს“

კონკურსანტების ნამუშევრები სოციალურ ქსელში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ფეისბუკ გვერდზე აიტვირთა და გამარჯვებული მკითხველთა მოწონების მიხედვით გამოვლინდა.

გამოვლენილი გამარჯვებული გახდა ბლოგერი, მარიამ პირველი, რომელიც 14-15 ივნისს, ბათუმის მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე - „საქართველოს ევროპული გზა“ გაემგზავრა.



## **თანამშრომლობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან**

საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის პროცესების წარმართვაში დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსთან“, კონრად ადენაუერის ფონდთან, ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრთან.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ფორუმის ეროვნულ პლატფორმასთან“.

ეროვნულ პლატფორმასა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი პარლამენტის ბიუროსგან კანონპროექტის მიღებიდან არაუგვიანეს ერთ დღეში, ეროვნული პლატფორმის სამდივნოს უგზავნის კანონპროექტის ტექსტს და სხვა თანდართულ მასალებს სრული სახით.

პლატფორმის წევრი სამოქალაქო ორგანიზაციები და ექსპერტები აფასებენ, თუ რამდენად შეესაბამება წარდგენილი კანონები ასოცირების შეთანხმების მიზნებს და რამდენად პასუხობს დაგეგმილი საკანონმდებლო რეფორმები ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ განსახილველ კანონპროექტზე პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა კომიტეტს წარუდგინეს ექსპერტული მოსაზრებები, რომელთაგან უმეტესობა კომიტეტმა გაიზიარა და ასახა შესაბამის დასკვნებში.

### **კომიტეტისა და არასამთავრობო სექტორის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ერთობლივი ღონისძიება და შეხვედრა:**

- 2018 წლის 19 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში, გაიმართა შეხვედრა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბატონ თამარ ხულორდავასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის. შეხვედრის მიზანი იყო თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო ხედვების ჩამოყალიბება, ასევე განისაზღვრა თანამშრომლობის სამომავლო გეგმა.
- 2018 წლის, 5 მარტს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა საზოგადოებას კომიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა წარუდგინა.

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია კომიტეტის სამომავლო საქმიანობა საკანონმდებლო და საზედამხედველო ეფექტურობის გაზრდისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის შესრულებული და სამომავლო საქმიანობის საჯარო წარდგენას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

- 2018 წლის 20 მარტს ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტში საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტის - „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივები“ პრეზენტაცია გაიმართა. პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების პერსპექტივებს და წარმოადგენს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.
- 2018 წლის 22 ივნისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ (PMMG) ორგანიზებით, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებიდან მოწვეული სამოქალაქო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით მიღწეულ წარმატებებზე და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს.
- 2018 წლის 2 ივლისს, საქართველოს პარლამენტში, „John Smith Trust“-ის მიერ ორგანიზებული კონფერენცია გაიმართა, რომელშიც ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან, ჩამოსული „John Smith Trust“ პროგრამის 40-მდე კურსდამთავრებული მონაწილეობდა. კონფერენციის მონაწილეებთან შეხვედრა გამართეს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ და ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ ირინე ფრუიძემ. შეხვედრის ძირითად თემას გენდერული თანასწორობის საკითხები და ღია მმართველობის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის აქტიურობა წარმოადგენდა.
- 2018 წლის 9 ივლისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა 12 პროფესორ-მასწავლებელთან სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, რომლებიც, კომიტეტის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის სამართლის პროგრამის კოორდინირებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშზე (RIA) იმუშავებენ. ანგარიშის მომზადება მომავალი 3-4 თვის განმავლობაში მოხდება. კომიტეტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის დაინტერესებულ ჯგუფებთან განხილვას გეგმავს სექტემბერ-ოქტომბერში.

- 2018 წლის 9 ივლისს, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა, ირინე ფრუიმესთან და გიორგი კანდელაკთან ერთად, საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (სსპ) წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა, საქართველო-ევროკავშირის სსპ-ს მესამე შეხვედრისას შემუშავებულ ერთობლივ დეკლარაციაზე იმსჯელეს, სადაც ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხრივ არსებული მდგომარეობაა ასახული.
- 2018 წლის 9 ივლისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დასავლეთ ბალკანეთში, ასოცირების მხარდაჭერი პროექტის ხელმძღვანელს, მარიეკე მეიენის შეხვდა. თამარ ხულორდავამ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში, პარლამენტის როლზე ისაუბრა.
- 2018 წლის 28 -29 ივლისს, ბორჯომში, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი მედიის წარმომადგენლებისთვის, რომელსაც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე უძღვებოდა.

სემინარზე ყურადღება დაეთმო ევროპული დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების მიმდინარეობას სხვადასხვა სფეროში, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმებს, ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის საკითხებს, ეკონომიკური ინტეგრაციის სარგებელსა და მოლოდინებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ სიახლეებს, შრომით უფლებებსა და ევროპული დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს. სპეციალური სესია მიეძღვნა საზოგადოებასთან კომუნიკაციის, ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის სარგებელზე მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების, საზოგადოების მოლოდინებისა და ანტი-დასავლურ პროპაგანდასთან გამკლავების საკითხებში მედიის როლზე მსჯელობას.

### **კომიტეტის ვებგვერდი და საინფორმაციო პოლიტიკა**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ქართულ მედია საშუალებებში რეგულარულად ავრცელებდა ინფორმაციას კომიტეტის ღონისძიებებისა და ვიზიტების შესახებ. ინფორმაცია კომიტეტის აქტივობების შესახებ თავსდებოდა პარლამენტის ვებ-გვერდზე და კომიტეტის Facebook-ის გვერდზე, რომლის განახლებაც ყოველდღიურად ხდება და კომიტეტის საქმიანობასთან ერთად ვრცელდება ინფორმაცია ევროკავშირის სიახლეების შესახებ.